თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 7 სექტემბერი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ანდრო მაღლაკელიძე	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	-ქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.
ცისმარდი მაღლაფერიძე	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის მდივანი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქ. ქუთაისში მრავალბინიანი ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავებისა და სახურავის ზედა ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (11 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – ინდ. მეწარმე ,,გოგა კვარაცხელია"–მ.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტები გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

ინდ. მეწარმე ,,გოგა კვარაცხელია"–მ წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 700 (შვიდასი) ლარზე (დღგ–ს ჩათვლით).

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2011 წლის 7 სექტემბრის 12:30 საათამდე პერიოდით.

ინდ. მეწარმე ,,გოგა კვარაცხელია"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ანდრო მაღლაკელიძემ და ნოდარ მიქიაშვილმა.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.
ინდ. მეწარმე ,,გოგა კვარაცხელია"–მ მიიღო 38,0 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ. კომისიის წევრებმა: ანდრო მაღლაკელიძემ, ვასილ მებურიშვილმა და ნოდარ მიქიაშვილმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქ. ქუთაისში მრავალბინიანი ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავებისა და სახურავის ზედა ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (11 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე ,,გოგა კვარაცხელია".

2. ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა (ნ. ჩოგოვაძე) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **დავით ანდღულაძე**

კომისიის წევრები:

კოტე რატიანი

ანდრო მაღლაკელიძე

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე